# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 67

(გამარტივებული შესყიდვების შესახებ)

ჭიათურა 02 დეკემბერი 2015 წ.

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ სსიპ „ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" (ს/კ:215593043), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა წერეთლის სახით, შემდგომში „დამკვეთი", მისამართი: ქ. ჭიათურა, ჭავჭავაძის ქ. №15 და მეორეს მხრივ შპს "გრემი 2012" (ს/კ:415591096), წარმოდგენილი მისი დირექტორის მურმან აბესაძის სახით, შემდგომში „შემსრულებელი", მისამართი: ქ. ჭიათურა, გოგებაშვილის ქ. №35, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია: დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმართველი ბიუჯეტის სახსრებით გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით, სსიპ "ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის" შენობაში, დარბაზის უკანა კედელისა და ჭერის, შენობის მარჯვენა მხარეს, მე-2 სართულზე ფოიესა და ორი ოთახის სარემონტო სამუშაოები თანდართული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით (დანართი №1). კლასიფიკატორის კოდი: CPV-45400000;

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4848.00 (ოთხი ათას რვაას ორმოცდარვა ლარი და 00 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების ჩათვლით.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. "დამკვეთი" იღებს ვალდებულებას:

4.1.1. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დროულად აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

4.1.2. "შემსრულებლის" მოთხოვნით "დამკვეთმა" მიაწოდოს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია სახელშეკრულებო ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

4.2. "დამკვეთს" უფლება აქვს:

4.2.1. მოსთხოვოს "შემსრულებელს" შესრულებული სამუშაოს შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან სხვა შეუსაბამობების აღმოფხვრა, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4.2.2. ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმდინარეობა და ხარისხი.

4.3. შემსრულებელი ვალდებულია:

4.3.1. სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.

4.3.2. შეასრულოს სამუშაო ხარისხიანად, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

4.3.2. უზრუნველყოს სამუშაოების დაწყება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და დაასრულოს 2015 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

## 5. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა განისაზღვრება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი წლით.

5.2. საგარანტიო ვადის პერიოდში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში "შემსრულებელი" ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით გარდა მექანიკური დაზიანებებისა.

## 6. ანგარიშსწორება

6.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

6.2. მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, ანგარიშფაქტურას და/ან შესაბამის დოკუმენტაციას, რაც სავალდებულოა ორივე მხარისათვის და საბოლოო ანგარიშწორებისათვის.

6.3. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მომწოდებელს მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშფაქტურის და/ან შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ღირებულებას.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. ხელშკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 3 დღით ადრე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკების პროცესში მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუკი ასეთი მოლაპარაკების გზით მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

## 12. ხელშკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 3 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

13.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაღვრება 2015 წლის 02 დეკემბრიდან - 2016 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

## 14. სხვადასხვა

14.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლიარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

„დამკვეთი“:
სსიპ „ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო დრამატული თეატრი“-ს დირექტორი: /ნ. წერეთელი/
ქ. ჭიათურა. ჭავჭავაძის ქ. №15
ს/კ: 215593043
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: 708417015

“შემსრულებელი”:
შპს "გრემი 2012"
დირექტორი: /მ. აბესაძე/
ს.კ. 415591096
ქ. ჭიათურა, გოგებაშვილის ქ. # 35
მომსახურე ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE40BG0000000119196600

დანართი №1

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის შენობაში ჩასატარებელი მცირე სარემონტო სამუშაოები

| № | სამუშაოს ჩამონათვალი | განზომილება | რაოდენობა | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ ფასი | ჯამი | ერთ ფასი | ჯამი | ერთ ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | I.. ოთახები | | | | | | | | | |
| 1 | გასუფთავდეს ჭერი და კედლები | მ² | 290 | 0 | 0 | 0,75 | 218 | 0 | 0 | 218 |
| 2 | დამუშავდეს და შეიღებოს ჭერი და კედლები | მ² | 290 | 0 | 0 | 2,8 | 812 | 0 | 0 | 812 |
| | წყალემულსია | ლიტრა | 90 | 4,6 | 414 | 0 | 0 | 0 | 0 | 414 |
| | ფითხი | კგ | 100 | 0,5 | 50 | 0 | 0 | 0 | 0 | 50 |
| | ზუმფარა | მ² | 3 | 8,5 | 26 | 0 | 0 | 0 | 0 | 26 |
| | ფერის პიგმენტი | ცალი | 4 | 2,5 | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 |
| 3 | შეიღებოს კარებები და ფანჯარა ორჯერ | მ² | 44 | 0 | 0 | 2,5 | 110 | 0 | 0 | 110 |
| 4 | შეიღებოს კარების და ფანჯრის გისოსი | მ² | 4,75 | 0 | 0 | 2,5 | 12 | 0 | 0 | 12 |
| | ზეთოვანი საღებავი | კგ | 25 | 3,5 | 88 | 0 | 0 | 0 | 0 | 88 |
| | გამხსნელი | ლიტრა | 3,5 | 3,5 | 12 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 |
| 5 | მოეწყოს მჭიმი 3 სმ სისქით | მ² | 6 | 0 | 0 | 6 | 36 | 0 | 0 | 36 |
| | ცემენტი მ-400 | ტნ | 0,1 | 170 | 17 | 0 | 0 | 0 | 0 | 17 |
| | ქვიშა | მ³ | 0,35 | 10,2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| 6 | მოეწყოს მუყაო-თაბაშირის ნესტგამძლე ფილები კედელზე და ჭერზე კარკასის მოწყობით | მ² | 9 | 13 | 117 | 4 | 36 | 0 | 0 | 153 |
| 7 | შეიღებოს ფოიეს შესასვლელი კარებები | მ² | 28 | 0 | 0 | 2,5 | 70 | 0 | 0 | 70 |
| | ზეთოვანი საღებავი | კგ | 15 | 3,5 | 53 | 0 | 0 | 0 | 0 | 53 |
| | გამხსნელი | ლიტრა | 2 | 3,5 | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 |
| 8 | მოიხვეწოს და მოილაკოს პარკეტის იატაკი | მ² | 27 | 0 | 0 | 6,25 | 169 | 0 | 0 | 169 |
| | ლაქი | კგ | 9 | 7 | 63 | 0 | 0 | 0 | 0 | 63 |
| | გამხსნელი | ლიტრა | 5 | 3,5 | 18 | 0 | 0 | 0 | 0 | 18 |
| | ზუმფარა | მ² | 6,5 | 8,5 | 55 | 0 | 0 | 0 | 0 | 55 |
| 9 | საკაბელო არხი ღარით 2 მ-იანი | ცალი | 5 | 2,54 | 13 | 1 | 5 | 0 | 0 | 18 |
| | 2. დარბაზი | | | | 0 | | 0 | | 0 | 0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გასუფთავდეს ჭერი, კედლები, კარების და ფანჯრის ფერდილები | მ² | 120 | 0 | 0 | 0,75 | 90 | 0 | 0 | 90 |
| 2 | დამუშავდეს და შეიღებოს ჭერი, კედლები, კარების და ფანჯრის ფერდილები | მ² | 120 | 0 | 0 | 2,8 | 336 | 0 | 0 | 336 |
| | წყალემულსია | ლიტრა | 33 | 4,6 | 152 | 0 | 0 | 0 | 0 | 152 |
| | ფითხი | კგ | 45 | 0,5 | 23 | 0 | 0 | 0 | 0 | 23 |
| | ზუმფარა | მ² | 1,35 | 8,5 | 11 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 |
| | ფერის პიგმენტი | ცალი | 2 | 2,5 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 3 | მოეწყოს კარების თამასა /ნალიშნიკები/ | გრძ/მ | 30 | 0 | 0 | 1 | 30 | 0 | 0 | 30 |
| | ხის თამასა | გრძ/მ | 30 | 5 | 150 | 0 | 0 | 0 | 0 | 150 |
| | ლურსმანი | კგ | 0,3 | 3,5 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| 4 | შეიღებოს კარებები | მ² | 40 | 0 | 0 | 2,5 | 100 | 0 | 0 | 100 |
| | ზეთოვანი საღებავი | კგ | 20 | 3,5 | 70 | 0 | 0 | 0 | 0 | 70 |
| | გამხსნელი | ლიტრა | 3 | 3,5 | 10,5 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 |
| | ტრანსპორტის ხარჯი მასალის ღირებულების 5% | | | | 1367 | | | | | 68 |
| | ჯამი | | | | | | | | | 3459 |
| | ზედნადები ხარჯი 10 % | | | | | | | | | 346 |
| | ჯამი | | | | | | | | | 3804 |
| | გეგმიური დაგროვება 8 % | | | | | | | | | 304 |
| | ჯამი | | | | | | | | | 4109 |
| | დ.ღ.გ. 18% | | | | | | | | | 740 |
| | ჯამი | | | | | | | | | 4848 |

შპს "გრემი 2015"-ის დირექტორი: მ. აბესაძე

სსიპ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი: ნ. წერეთელი